ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 88

3 ივლისი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.

მოწვეული სტუმარი:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას უძღვება ოთარ გრიგოლია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (№11-01201833443) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-032018133-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.
საკითხი წარმოადგინა გაიოზ თალაკვაძემ.
მან აღნიშნა, რომ ე.წ " COVID"-ის გამო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეზღუდვების მოხსნის მიუხედავად, განახევრებულია M3 კატეგორიის ავტობუსების და მიწისქვეშა ელექტრო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა. ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობისათვის, მიმდინარე და საოპერაციო ხარჯებისათვის, სსიპ თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების სააგენტო ითხოვს 5 მლნ ლარის დამატებას „სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდიის" პროგრამაში, პროგრამის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები" შესაბამისად შემცირებით.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.
მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით** გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტო ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია